ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1325328001**

თარიღი:**24/11/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები (განსაზღვრული დანართი 1-ის შესაბამისად) განკარგოს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, სწრაფი გადახდის თვითმომსახურების ტერმინალების განსათავსებელად. 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 52 (ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით (წლიური საიჯარო თანხა შეადგენს 624 (ექვსას ოცდაოთხი) ლარს), საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია -ს 2025 წლის 17 ნოემბრის აუდიტორული შეფასების თანახმად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N 1

	შესაფასებელი ობიექტის მისამართი	საკადასტრო კოდი
1	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.N93 - ის მიმდებარედ - 1,00 კვ.მ.	**62.09.53.035**
2	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.N99 - ის მიმდებარედ - 1,00 კვ.მ.	**62.09.59.117**
3	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.N99 - ის მიმდებარედ - 1,00 კვ.მ.	**62.09.59.117**
4	ქ. ახალციხე, ნათენაძის ქ.N13 - ის მიმდებარედ - 1.00 კვ.მ.	**62.09.58.891**
5	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ.N31 - ის მიმდებარედ - 1.00 კვ.მ.	**62.09.58.891**
6	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ.N41 - ის მიმდებარედ - 1.00 კვ.მ.	**62.09.58.891**
7	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ.N45 - ის მიმდებარედ - 1.00 კვ.მ.	**62.09.58.891**
8	ქ. ახალციხე, დიდიმამიშვილის ქ. N26 ის მიმდებარედ - 1.00 კვ.მ.	**62.09.58.891**
9	ქ. ახალციხე,შოთა რუსთაველის 64 - ის მიმდებარედ - 1.00 კვ.მ.	**62.09.54.980**
10	ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქ.N8 - ის მიმდებარედ - 1.00კ ვ.მ.	**62.09.60.130**
11	ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქ.N22 - ის მიმდებარედ - 1.00 კვ.მ.	**62.09.60.130**
12	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ.N5 - ის მიმდებარედ - 1.00 კვ.მ.	**62.09.54.161**